ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1076048

ნომერი: AR1184857

თარიღი : 24.12.2013

გაცემის თარიღი : 13.01.2014

გაცნობის თარიღი : 14.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ულიანოვი , N 29 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიბანი , N 6 / ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , ნაკვეთი 08/078 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერთ იუმუშაქერ პ/ნ 01092003974
- გურამიშვილის გამზ.#64

ორგანიზაცია:
- იონფაშ ჯორჯია კოდი: 200271721

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 24.12.2013 წ. №AR1184857 განცხადებით მომართა მოქალაქე მერთ იუმუშაქერმა და მოითხოვა 22.11.2011წ. №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ლიბანის ქ. №6-ში არსებულ №008/055 მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) შერეული ფუნქციის ობიექტის (საოფისე, კომერციული) ასაშენებლად გაიცა №1783 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 1802 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.11.03.008.055.

განცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 18128 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.11.03.008.093 (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882013039822, მომზადების თარიღი 06.02.2013 წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 04.02.2013 წ.). ხოლო, მომატებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 22.11.2011წ. №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიცვალოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, მიეთითოს ახალი საკადასტრო კოდი და დაფიქსირდეს ახალი კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 1802 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 18128 კვ.მ. საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.11.03.008.093 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნომებრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882013039822, მომზადების თარიღი 06.02.2013 წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 04.02.2013 წ.)
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №1783 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 16.05.2012 წ. #166151 ბრძანებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.